რედაქცია

[გა]ლავინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებ[ში], [კ]ლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

[მიი]ღება ტფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუ[თ]აისში ჭილაძის (გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე [მც]ხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редак[ці]ю „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| [ერთის] წლისა | 9 მან. | სამის თვისა | 3 მან. |
| [ექვსის] თვისა | 5 მან. | ერთის თვისა | 1 მან. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ., ასო-მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ., ჩვეულებრივ ასო-სტრიქონზე 8 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია იტოვებს უფლებას შეასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილები. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკან არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.

## ხუთის თვის ხელის-მოწერა.

პირველი აგვისტოდამ ამ 1882 წლის დამლევამდის

## „დროება“

ღირს გაგზავნით 4 (ოთხი) მანეთი

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისში—გალავინის პროსპექტზე, თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბს ქვემოთ.

ქუთაისში—ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, редакція „Дроэба“.

## ტელეგრამმა

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“).

პეტერბურღი, 11 აგვისტოს. „მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია გზათა სამინისტროს ცნობა, რომ გამოშვიდობა საზოგადო აზრი. სამინისტრო ვრცელს სტატიაში იცავს რკინის რკინის გზების მდგომარეობას და გამოანგარიშებით ამტკიცებს, რომ რუსეთის რკინის გზებზედ უბედური შემთხვევანი მეტი არ მომხდარა რაც საზღვარ გარეთის გზებზედ ხდებაო, რომ რუსეთის რკინის გზებს საზღვარ გარეთის გზებზედ მეტი არ უმსხვერპლიათო, თუმცა ჯავაც კი არ უწყობს ამ საქმეს ხელს რუსეთში. ამას გარდა სამინისტრო აუწყებს, რომ ამ ჟამად მთელს რუსეთის რკინის გზებს დიდი ყურადღება აქვს მიქცეული.

„რუსის ინვალიდი“ აცხადებს, რომ მეორე კავკასიის შტაბის უფროსი, დენ სარანჩევი, დაინიშნა მეოთხე არმეისკის კორპუსის შტაბის უფროსად.

„ნოვოსტი“-ს გაუგონია, რომ ახალს წესდებულებაში, რაც შეიძლება შეამსუბუქონ დასჯა სიწმინდის შეგინებისთვის.

წინადადებაა, რომ ვინც გაჭრობაში „გაკოტრებას“ გამოაცხადებს, ამათი საქმე შემდეგში სისხლის სამართლით გაირჩეს.

## „გოლოსის“ აზრი.

ადგილობრივ გაზეთებში იყო მოხსენებული არა ერთ გზის იმ დამნაშავეთა მოქმედების გასამართლებაზე ლაპარაკი, რომელნიც დაესხნენ ფონ-ერტელს და რომელნიც გაასამართლა კავკასიის სამხედრო სამსაჯულომ და გადუწყვიტა სხვათა შორის რამდენსამე პირს დასჯა—ჩამოხრჩობით.

ამ საგანზედ რუსულს გაზეთს „გოლოსის“ მე-209 №-ში არის მსჯელობა, რომელსაც ჩვენ სრულიად ვეთანხმებით.

აი რა შეხედულობა აქვს ამ საგანზედ „გოლოსს“.

„უველაზედ უწინარეს ჩვენ უნდა მოვაგონოთ მკითხველებს, რომ იარალით თავს-დასხმა კავკასიის მხარეში და თვით ქალაქს ტფილისშიაც არ შეადგენს განსხვავებულსა მოვლენასა. იარალი არის კუთვნილება ტანთსაცმელისა ადგილობრივ მცხოვრებთათვის. ხანჯალს ვერ მოიცილებს კავკასიის მცხოვრები, ხანჯლის მქონეა მარადის—მიდის მეგობრებთან, თუ ეკკლესიაში შესავედრებლად უფლისადმი. ამ გვარად, რომ მცარცველებს ზედა-ჰქონიათ იარალი, ეს იმას არ ამტკიცებს, რომ მათ განზრახვაში ყოფილიყოს კაცის მკვლელობა და ეს გარემოება არც შეუმძიმებს დანაშაულობას. ადგილობრივის მცხოვრების ჩვეულება არ უნდა შეეთანასწორებინათ და შეეთვისებინათ ან ერთის ან მეორის მუხლისათვის დასჯათა კანონების. დღევანდლამდის ამ გვარი საქმეები, რომელნიც გაირჩა კავკასიის სამხედრო სამსაჯულოში ექვემდებარებოდნენ ხოლმე საზოგადო სასამართლოებს, მხოლოდ აწინდელი შემთხვევისთვის კი საჭიროდ დანახულ იქმნა მიეცეს ამ შემთხვევას განსხვავება.

„ჩვენ არ შევდივართ გარკვევაში იმ მიზეზებისა, რისთვის იყო ეს განსხვავება ცნობილი საჭიროდ, მაგრამ გვაქვს უფლება გამოვიყვანოთ დასკვნა შედეგისათვის ამ გვარის ზომისა.

„აწ არსებული მთელს იმპერიაში, როგორათაც კავკასიაშიაც დასამჯელო კანონები არ დაადგენენ ცარცვისა და ჭრილობისათვის, თავ-დასხმისათვის და თითქმის წინასწარ განზრახულ კაცის კვლისათვის იმ გვარს სასჯელს, როგორც დახრჩობა ადამიანისა. ათასი ამ გვარი დანაშაულობა განიხილება ხოლმე ყოველ წლივ ჩვენ სასამართლოებში და დამნაშავეთ არ ახრჩობენ, მხოლოდ გზავნიან კატორგაში, ანუ ციმბირში დასასახლებლად, ანუ ჩასმენ ხოლმე საპყრობილეში. კავკასიისათვის არავითარი განსხვავება არ არის კანონებში. მაშა სადამე ამ გვარი განსხვავება იქმნება ხოლმე, მხოლოდ განკუთრებული შემთხვევისათვის და თავს-დასხმა შეერთებული მსუბუქს ჭრილობასთან მიიყვანს დამნაშავეთა სახრჩობელაზედ, თანხმად სამხედრო სასამართლოს გარდაწყვეტილებისა.

„იქნება უახლანდელი შემთხვევა იყო ცნობილი მკვიდრ-საფუძვლიანად, რათა გამოარკვიოს ყოველ-დღიურის დანაშაულებიდგან იმ განზრახვით, რომელსაც ახლავს საგნად ადმინისტრატიული და პოლიტიკური მნიშვნელობა. ცარცვა და თავს დასხმა კავკასიაში, ჩვენდა სამწუხაროდ არიან მოვლენანი, რომელნიც ხშირად ვანიმეორებიან ხოლმე. ამისთვის შესაძლო იყო და ჯეროვანი, ემოქმედნათ ავაზაკებზე შეშინებით. მაგრამ არამც თუ სწავლის და გამოცდილებისაგან გამოკვლეულნი ჩვენებანი მთელის ქვეყნისა, თითქმის გამოცდილებანიც წარმოებულნი მთელს კავკასიაში, საკმაოდ დაგვარწმუნებდნენ, რომ გამოცდილებულნი მიზანნი შესაშინებლად შეერთებული ყოფილან საქმეში სისხლის სამართლის მსჯელობისა, უნაყოფოდ, და მავნებლადაც მმართლ-მსაჯულებისა. როდესაც კავკასიის სანამესტნიკო არსებობდა, მაშინ ცარცვა და თავ-დასხმა გზებზედ იყო ხოლმე დევნული და გასამართლებული სამხედრო სამჯავროსაგან. მაგრამ მათმა მრისხანე განჩინებებმა სრულებითაც ვერ შეამსუბუქეს თავდასხმა; თითქმის ამ უკანასკნელ დროებ-

---



## არხეოლოგიური მოგზაურობა

(გაგრძელება *)

მეორე დღეს წავედი ბიეთის ეკკლესიაზედ. ამ წინუბნის ტყეშია, ორი ეკკლესია ყოფილა ცალკ-ცალკე. პატარა ეკკლესია დაქცეულ იყო და დიდი ეკკლესია მრავლდ[?] ისევ დიდი ნაწილი.

ეკკლესიის ჩრდილოდ განყოფილების კარის ქუდზედ ასე აწერია ხუცურად: „ქრისტე ადიდე ხაშირელის ესე საყდარი.. ქალწულო ღვთის მშობელო მეოხეყავ ხაშირელსა შვილითურთ ორთავე შინა ცხოვრებათა“. სამხრის კარის წარწერილები ალარ არის, წაულიათ. ჩრდილოდ მცირე ეკვტერია და კარს ზემოდ აწერია: „საჳედრებელად მშობელთა და ჩვენთა მიცვალებულთათვის ქორონიკონსა რსა“. ე. ი. 100 წ. იქავე მეორე მხარს აწერია: „მე თუიბაცის ძემან ზაალ ალვაშენე წმიდაჲ ესე ეკვტერი შლსა“. ახალად დაქცეული ეკკლესიის ქვები უზიდიათ, თითქმის ბევრი ალარა დაშთენილა.

ამ ადგილს დიდ ბიეთს ეძახიან, ამის ქვემოდ კაპანია კლდიანი და მის გალმას პატარა ბიეთს ეძახიანო, ამბობენ მცხოვრებნი. ბერაძიებში ვნახეთ ერთი დედაბერი, რომელიც ამბობდა პატარა ბიეთს ნაშობი ვარ და დიდი ბიეთის რძალიო. თუ ასეა, დიდი ხნის ნამხარი არ უნდა იყოს, მაგრამ ისეთი ტყე არის კატარ-პიწკნარის, რომ ნასოფლი არც კი ეტყობა. კარგი წყლიანი ადგილები ხევ-ღელეები მისდევს. წინუბანი ორ უბნად გაყოფილია. ამათ ნაეკკლესიები საფუძვლით მოუშლიათ, ალარსადა სჩანს.

წინუბნიდგან იქავ აგარის წისქვილებთან ჩამოველ, მითხრეს: ხიდთან რალაცა ნაწერი ქვა არისო; ქვა კი დამხდა, მაგრამ ჩუქურთმიანი იყო. სთქვეს, რომ აწყვრის დიდი ეკკლესიით გამოტანილია რუსებისაგანო. ორ-ამს პირს წაელოთ მახლობელ სოფელ ზიკილიაღ და სამივე დაშავებული იყვნენ. მათ ისევ მოეტანათ ამ ხიზედ დაედოთ. ზიკილიას გავიარე აქ ერთი ქვით ნაშენი ეკვტერი ნახე კედლებ მოქცეული და ორიოდეც ქვაბი. ამ ქვაბთაგანი ერთი ეკკლიად ჰქონიათ. ამ ქვაბს ქვეშ აკლდა ჰქონდა. ქვაბის სარკმლები გამოტვრევიათ და ისე შედი-გადიან. ახალოდ, წყალ-კურთხევად და აღდგომად მცხოვრებნი მოაქვთ აქ სოფლიდგან ქოთნის ნატეხრებით ცეცხლი, სანთელს ანთებენ და საკმელს აკმევენ, იმდენი ნატეხარები ეყარა, რომ კაცი ფეხს ვერ წაადგამდა.

ვჰკითხე აქაურებს ზიკილია რაღ ჰქვია თქვენ სოფელს-მეთქი? და მითხრეს: უწინ ვარდის-უბანი ერქვა თურმე ამ სოფელს, მაგრამ ქალბატონად ვილაც თამარისთანა მშვენიერი ქალი ჰყოლიაო, რომელიც ურცხვი ყოფილა, ტან-მიშვილი ეჩვენებოდა ხალხსა, ამისთვის უთაკილიათ მისი მფლობელობა და უთქვამთ საკილია ჩვენთვის ამის ყოლა და გაუდევნიათო. ამის გამო ზიკილია დაშთენია სახელად ამ სოფელსა.

აი კეპთმსახურების ნამდვილი ცნობა.

წარმართნი აფროდიტსა, თუ ვენერას ცისკარს ეძახდნენ. პირველი შესაწირავი მისი იყო ყვავილ-ვარდნი

*) იხ. „დროება“, № 167.

შიაც განჯისა და ბაქოს გუბერნიებში დიდად და დიდად საფთხეა სიარული შარა გზებზედ.

„შესამცირებლად კავკასიაში ცარცვათავ-დასხმისა, როგორც სხვა ქვეყნებშიაც, სადაც მცხოვრებნი ჯერ კარგად შეთვისებულნი არ არიან სამოქალაქო ცხოვრებასთან, შესაძლოა, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, შემწეობა შეშინების საშუალებით კი არა, არამედ იმ გვარის ზომით, რომლითაც კაცი წინა აღუდგება განზრახულის დანაშაულის მოქმედებას. ავაზაკებმა რომ იცოდნენ, რომ კავკასიაში არსებობს ჭკუიანი, გამჭრიახე და პატიოსანი მომქმედი პოლიცია, რომ ეს უკანასკნელი ასრულებს თავის საქმეს და იმის თვალს არც ერთი ავაზაკი არ გამოეპარება; რომ არსებობდეს მათ შორის ის დარწმუნება, რომ თავს-შეიდებენ და აღმოაჩენენ დამნაშავეს, რომ ეს უკანასკნელნი, ადვილად ვერ გაუსხლტებიან კანონიერს სასჯელს, თუ გინდაც საზოგადო სასამართლოშიაც,—მაშინ მხოლოდ ამ გვარად დადგენილი პოლიციის საქმე უეჭველად მალე შეეწეოდა კავკასიას, გარიდაურჩეს ავაზაკებს, ვიდრე ის ზომები, რომელნიც ჰბადებენ განსხვავებას სისხლის სამართლის სამსაჯულოში და ეს უკანასკნელი კი უნდა იყოს თანასწორი ყოველთათვის“.

## დღიური

მომავალის სასწავლო წლიდამ ტფილისში იხსნება კიდე ერთი ახალი კერძო სასწავლებელი ბ. მირიმანოვის ფირმით. ჯერ-ჯერობით გაიხსნება I და II პროგიმნაზიის კლასები პანსიონით. მასწავლებლებად ტფილისის გიმნაზიების მასწავლებლები არიან მოწვეულნი რამდენადაც შევიტყეთ ესენი არიან: კ. პ. ბრენევი—მასწავლებელი საქალებო გიმნაზიისა, ი. ე. გამყრელიძე—მასწავლებელი ტფ. მეორე გიმნაზიისა, ვ. ა. მარტინოვსკი—მასწავლებელი ტფ. პირველი გიმნაზიისა და ი. ნ. გოროდენსკი—მასწავლებელი სათავადო სემინარიისა.

როგორც მასწავლებლებზე ამათზე კარგის მეტი არა გაგვიგონია-რა. როგორც კაცს, ვიცნობთ ბ. გამყრელიძეს, რომელის, იმედი გვაქვს, არ მოჰკიდებდა ამ მძიმე საქმეს ხელს, თუ კარგი ამხანაგების იმედი არ ჰქონოდეს.

მიღება და ეგზამენები ამ წელს სასწავლებელში დაიწყება 20 აგვისტოდამ. სწავლა კი პირველს ენკენისთვეს დაიწყებაო.

* * *

ბაქოს გაზ. „კასპში“ იწერებიან, სარწმუნო წყაროებიდამ გვაქვს შეტყობილიო, რომ მთავარ-მმართებელი, თ. დონდუკოვ-კორსაკოვი ამ თვეში გაემგზავრება დაღისტნისაკენო. 16-ს რკინის გზით ჩამოხტება ქურდამირში, აქედამ გადავა შემახიაში, სადაც ღამეს გაათევს. 20-ს იქნება შუბაში და 22-ს დერბენტისაკენ გაემგზავრებაო.

* * *

ხონის სათავადო სემინარიაში მისაღები ეგზამენები დაიწყება 23 აგვისტოდამ.

* * *

გაზ. „იურიდიულ მიმოხილვაში“ ვკითხულობთ:

„ამ ჟამად ჩვენი სასამართლოები დიდის ყურადღებით ადევნებენ თვალს პეტერბურღიდამ ჩამოსულ რევიზორებს, რომელთაც უნდა გადახედონ კავკასიის სასამართლოებს. ბ. სენატორი ბერი ჯერ ქუთაისის ოლქის სასამართლოს საქმეებს გაეცნო, მერე, შემდეგ ოზურგეთის, ზუგდიდის, შორაპნის, სენაკის და ხონის სასამართლოების გარდახედვისა, ამ თვის დასაწყისში ტფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორის, ბ. კრაშენინნიკოვის დასწრებით, დახედა სურამის, ცხინვალის და გორის სასამართლოები. ტფილისში რომ დაბრუნდა, სენატორმა მიიღო მონაწილეობა კოჯორის კამისიის სხდომებში, რომელსაც კავკასიის სამმართველოს შეცვლაზედ აქვს სჯა. 10-ს სენატორი ბორჩალოს მაზრაში გარდავიდა და აქედამ ერევანში, განჯაში და ბაქოს გუბერნიებში. 5-ს ენკენისთვისათვის დაბრუნდება სენატორი ტფილისში და მაშინ გაარჩევს ტფილისის ოლქის სასამართლოისა და სასამართლოს პალატის საქმეებს. ობერ-პროკურორის თანაშემწე პლატონოვი იხელს ტფილისის ოლქის სასამართლოის აპელაციურს განყოფილებას.

* * *

ამ წელში კავკასიის სხვა-და-სხვა სასწავლებლებში კურს შესრულებულთაგან 25 ახალ-გაზდა გაიგზავნა კავკასიის სტიპენდიით გამოსაზრდელად რუსეთის სხვა-და-სხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

ჩვენი კაცი მხოლოდ ერთი ურევია ამათში—ივლიანე ანჯაფარიძე, რომელმაც ქუთაისის გიმნაზიაში შეასრულა სწავლა. ქუთაისის გიმნაზიაში წელს ამას გარდა ბევრმა ქართველებმა დაასრულეს კურსი და ორი-სამი ამათგან, როგორც ჩვენ სარწმუნოდ ვიცით, ისეთი გაჭირებული და ღარიბები არიან, რომ არა თუ შორე რუსეთში ირჩინონ თავი და უნივერსიტეტის ქირა იხადონ, თვით ქუთაისშიაც უჭირდათ ცხოვრება, თავის ოჯახობაში. ივლიანე ანჯაფარიძის გარდა, სამიც სხვა არის გაგზავნილი ქუთაისიდამ კავკასიის სტიპენდიით. ერთი რუსი, ზარნოვსკი ერთი ფრანგი ბოკიელოვი და ერთი სომეხი—მალანტაროვი.

* * *

ამ დღეებში ჩვენ ვნახეთ თ. ა. ი. ერისთავისაგან გამოგონილი იაფი და ადვილად სახმარებელი „წიწილების საჩეკი“ მაშინა. შეკრულია უბრალო ფიცრის ყუთსავით, კედლებს შუა წყალი დგას, რომლის სითბოც 30° მეტი არ უნდა იყოს. სითბოსთვის საჭიროა უბრალო ნავთის ლამპა. ამ ყუთის შუაგულზედ გაშლილია მაუდი და ზედ კვერცხები აწყვია, რომელნიც უნაკლულოდ იჩეკებიან ოცდა-ერთს დღეზედ. დღე ლამეში უნდება მხოლოდ ერთი გირვანქა ნავთი. ამგვარად ადვილად სახმარებელია ეს მაშინა, ოღონდ ყურის გდება უნდა, რომ სითბომ 30° მეტი არ აიწიოს. თითონ ოსტატს უცდია და რამდენიმე ხელი უნაკლულოდ გამოუჩეკია ამასთანავე ოსტატს [illegible] გონმა გვითხრა, რომ იმას შეუძლიან გააკეთოს სხვა-და-სხვა ზომის მაშინა: ასი კვერცხისთვის, ორასისათვის და ამ გვარად ათასამდის. კარგი მოგონებაა, თუ რომ კარგად მოიხმარეს.

* * *

ჩვენ გვაცნობებენ, რომ ამ ახლო ხანს გარდაცვალებულ მეხაშეს ბეჟანოვს, რომელსაც კარგა ფულები დარჩენია, მემკვიდრე გამოსჩენია ქართლში ლეიძლი და. ფულად ორი ათასი თუმანი პრიკაზში შეტანილი ჰქონია თავის სახელობაზე. ვინ იცის თუ უსახელო ბილეთი დარჩენოდა, აბა მაშინ იპოვიდა მემკვიდრე ამ ფულსა. ახლა ფულმა მემკვიდრე იპოვა.

* * *

ამ ჟამად ქალაქში ჩამოდიან სხვა-და-სხვა ადგილებიდამ სომხის სკოლების ოსტატები და დირექტორები, რომელთაც ექნებათ კრება. კრება დაიწყება ამ თვის ოციდამ და გაგრძელდება ენკენისთვის შვიდამდის. ამ გვარი კრება სომეხთ მასწავლებლებისა პირველია და როგორც შევიტყვეთ მომავალში ექნებათ რამდენსამე წელიწადს გამოშვებით ხან ოსმალეთში, ხან რუსეთში. ამ ჟამად წინა მოსამზადებელი კომისიები მუშაობენ. სამწუხაროდ, შესანიშნავია ისა, რომ მასწავლებელნი, ოსმალეთიდამ თვით სომხეთიდამ ორის კაცის მეტი არ მოსულა. ყველანი კავკასიის მხრის ადგილებიდამ არიან რიცხვით ას სამოცამდე. კრებაში ყველას შეუძლია დაესწროს—ბილეთი ღირს მანეთ ნახევარი.

* * *

ოთხშაბათს გათენებისას მოუკლავთ ქალაქში ცნობილი მექათმე ოჯახყული. ამბობენ გათენებისას სახლიდამ გამოსულა გარეთ და თურმე ეზო-დერეფანსა რწყამს. ამ დროს თოფი უსროლია ვიღასაც, მოხვედრია გულში და იქვე მომკვდარა. ეს დიდი ხნის გამოჩენილი ჩარჩი იყო, მთელი ქალაქის სასტუმროები მისგან ყიდულობდნენ.

და ტრედნი. მით ქართველთ სადაც უმსახურიათ დაუძსთ სახელად ვარდისციხე, როგორც ჯავახეთში, აქ როგორც ვარდის-უბანი და კოლასაც ასრე. კოლათგან წარმომდგარია, რომელსაც ბერძნები ვენერას უძახდნენ, ჩვენებურად ქალი, ე. ი. სატრფო. ისე სჩანს ამ ვარდის-უბნის გამქრისტიანებელ მღვდელთ დაუშლიათ ვენერას ბილწი მსახურება და მათგან დაშთენილა წოდება ამისი საკილია თუ ზიკილია!

მესამე დღეს თისელს გვახელით. მშვენიერი ტყიან-წყლიან სახნავ-სათესიანი სოფელი ყოფილა ადრე, ახლა სამიოდე ქურთები სცხოვრობენ. ორ-სამ უბნად ყოფილა ადრე. ერთს უბანს კუნელს ეძახიან. აქ ენახე დაქცეული ეკკლესია. ნაწერი არა იყორა. ერთი ქვითკირის წყარო კი დამხვდა შეკეთებული. მეორე უფრო დიდი ეკკლესია ყოფილა. ეს ბოთლების სასხმელ ქარხნად უხმარიათ 30 წლის წინად და არც აქ დამხვდა ნაწერი. მესამე ეკკლესია შიგნით ტყეშია მომაღლო კლდეზედა და არც აქ იყო ნაწერები.

რადგან ქალიმანჯ აფენდი აქაური ყოფილა, რომელსაც გაუმაჰმადიანებია მთელი აწყვრის მაზრა, წარწერების მოსპობას ამას აბრალებენ, სადაც ხელი მისწვდენია. ახლა ამის საფლავსა წმიდასავით ჰმსახურებენ! მხოლოდ ეკკლესიაში ნახულ ნახატებთან ხუცურად ეწერა კართან: წმიდა თეოდორე, მერმე წმ. გიორგი, წმ. სტეფანე და ვასილი. ზოგზედ ბერძნული ასოები იყო....

გულ-დაწყვეტილი წამოველი აწყურიდგან ახალციხისაკენ...

14 ივლისსა გავემგზავრე ზადენ-გორისაკენ. ზადენი აბასთუმნის მახლობლად არის—მაღალი გორა. გარდასცქერია ამაყად ფოცხოვს და ქვაბლიანსა. ძირში აქვს სოფლები ბენნარა და უწწა, სადაც გაყვანილია აბასთუმნის გზა-შარა. ზადენი საკმაოდ ვრცელი სოფელი ყოფილა ნანგრევებიდგან ეტყობა, წყალი კი არსად აქვს. ეს გორა ერთიან დახვრეტილი ყოფილა სავსე დარნებითა და სამალავებითა; თვითო საქენზედ მოდიდო ფიქლებით დახურულია ზეიდგან.

წარმართნი ნოეს—სატურნოს ეძახდნენ. სატურნო და ზადენიც ერთი და იგივე შემოკლებული სახელია ჩვენს ენაზედა. ზადენის ქვემოდ არის საბუსარა,—7-ოდე მოსახლე დგას. უწინ წარმართთ ცის ძალთა და დევგმირთ სამსახურებელი ადგილი ყოფილა ეს. აქაც არის დიდრონი ბალავრები კედლებში თუ კალოებზედ მიყრილი. ამ 50 წლის წინად ხშირი ნაძვ-კატრის ტყედ ყოფილა ეს სოფელი. გარნა ოსმალთ გარდაუკაფიათ ახალციხის გასამაგრებლად მთელი ხე-ტყე აქედგან ჩაუზიდიათ პასკევიჩის დროს, ახლაკ დგას რამდენიმე ნაძვ-კატრები. ორი წყარო გამოდის თავბოლოს სოფლისა. პირველი შესანიშნავია სიცივით და მსუბუქობითა.

საბუხარას გვერდით არის გორა, რომელსაც ზადენ-გორასაც ეძახიან. ზადენი, საბუზარა და გორა თითქოს ერთის სოფლის უბნები არიანო ისე მახლობლობენ ერთი-ერთსა; აქაც ამის წინად სოფელი ყოფილა და ნასაყდრიც ეტყობა. კარგი წყაროც ჰქონია. ეს ზადენ-გორაც ზადენისავით დახვრეტილია შესანიშნი დარნებსამალავებით. ერთს დარანში შემიძლია ადგილობრივი ვაჟკაცი, ავანთე სანთელი და მივჰყევ მის კვალსა. ჯერ პირველად ქვის კარებია შებმული

2

...ბდნენ მფრინველეულობას და ყვე-...მ იცის, რა კარგი შეძლება ჰქონ-..., ზოგი კიდეც ამბობს ექვსი ათასი ...მანი ექნებაო. თუმცა ამისთანა ...ძლება ჰქონდა, უბრალო შალის ...ხით დადიოდა, ქათმის გალიები ...ყო წინათ მეიდანზე და ახლა სე-...ნარიის გვერდით, თითონვე ჰყიდდა ... ვერავინ ვერ გაარჩევდა აქვე ...დომ ქალაქის ღარიბ მექათმეებში. ...რჩენია მხოლოდ ორი ცოლი.

* * *

...ერთი ქალაქის მცხოვრებსაგან მოგ-...ვიდა ჩვენ შემდეგი შენიშვნა გაზეთ-... დასაბეჭდად:

„ამას წინად ერთი პოლიციის ჩი-...ვნიკი ატარებდა გასაყიდ ბილეთებს ...რის დუქნებში რაღაცის სასარგებ-...ლოდ. ვისაც არ შეეძლო და ვერ ...ღულობდა ბილეთს, ისეთ ნაირად ...მუქრებოდა ეს ბატ. ჩინოვნიკი, ...მ ძალით აიძულებდა ეყიდნათ. ...თილ საქმეს, რასაკვირველია, ჩვენც ...ვდა თანაუგრძნობდით, ვაჭრები, ...მაგრამ რა ვქნათ—თითო მანეთობით ...ამ ქესატობის დროს, რაღაც ...ბილეთებში მივცეთ ჩვენი ოჯახობა ...შიმშილით მოვკლათ!? რა გვეთიატ-...რება!“

...არ ვიცით, რა ბილეთს ჰყიდდა ეს ...ბატონი პოლიციელი თითო მანეთად. ...რას, ბაღში სეირნობის ბილეთი ... შაური ჰღირდა და ეს მანეთი ...ლასია?!

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

ქვემო-რაჭა, 28 ივლისს. ზაბედვით ...შეიძლება ითქვას ეხლანდელ რაჭის ...არეზე და ხალხზე, რომ ისინი სულ ...სა სურათს წარმოუდგენს ყოველ ...მაკვირვებელს. სწორედ დიდი ცვლი-...ლება მიიღო აქაურმა, ნამეტური ზაფ-...ხულის ჰავამ ამ უკანასკნელ დროებ-...ში.

...ამაში ცნობის-მოყვარეს დაარწმუ-...ნებს ყოველივე აქაური მოხუცი, რო-...მელიც კი მუდმივ აქ ცხოვრებულა. ...ალაა უწინდელი სიგრილე ზაფხუ-...ლის ჰაერისა, რომლისთვისაც მთელი ქვემო იმერეთი გულ-დამხრაკავ სიცხეს საჩქაროდ სტოვებდა და მოილტოდა სულის მოსაბრუნებლად როგორც ქვემო-რაჭაში, ისე ზემო-რაჭაში. ეხლაც მოდის ქვემო-იმერლობა ზემო-რაჭაში, სოფ. უწერას, მაგრამ მცირედი რაცხვი და ისიც მჟავე წყლის გამო.

ზემო-რაჭაში არა ცხელა ისე, როგორც ქვემო-რაჭაში; ეს, რასაკვირველია, აიხსნება იმით, რომ ეს ადგილები თეთრად-შემოსილ კავკასიონის მთების ძირში არიან გაშლილნი. ქვემო-რაჭა სულ სხვაა. უწინდელებრ აქ ველარ იპოვით გრილ, მაღალ და მწვანედ შებურულ ტყეებს, მობიბინე ბალახით და თან ყინულისებრივ ცივ წყაროებით შეზავებულ ადგილებს. ეხლა ამ ნაირად ბუნებისგან შემკული ადგილები, პაპანება სიცხისაგან თავ-შესაფარი არამც თუ სოფლებში და მათ მახლობლად იპოვებოდეს, მთებშიაც კი ძვირია. ამას წინედ ერთმა პირმა დიდის წუხილით შემომჩივლა, რომ შვენიერი წყარო, რომელიც მის ეზოს ამკობდა და რომელსაც უკვდავების წყაროსავით შევჰყურებდა ამოშრა სულ ერთიანად და ამნაირად ჩვენც ამოგვიშრო პირში წყალიო. სიცხე აქ ცოტა ხნობითაა მაგრამ სანამ არის სულ ლეულს ადენს ყველაფერს.

ერთი სიტყვით, ამნაირი სიცხეებისაგან, როგორც აქ დაიწყო ამ უკანასკნელ დროს, ღმერთმა დაცემული და მოტიტვლებული ქართლის ვაკეებიც დაიფაროს. ნუ თუ თავბრუ-დამსხმელ სიმაღლეზე ასული და ცაში შებჯენილი კავკასიონი ვერ გვიცავს ამ სასტიკ სიცხეებისაგან! მაგრამ (ასე გასინჯეთ ჩვენი უკუღმართი ბედი) ისიც კი განზე გასდგომია ჩვენს ხალხს და შანს უგებს. თუ ამისთანა განსაცდელში და ვაი-ვაგლახში ჩავარდნა არ უნდოდათ სიცხის და უწვიმრობის გამო რაჭველებს რად არ იფიქრეს, როდესაც ისინი შეუბრალებლად სჩეხდენ შინ და გარეთ, ტყეს რომ ამ უკანასკნელს დიდი დამოკიდულება აქვს ბუნების მოვლინებაებთან და შეუძლია უიმისობამ მომავალში ჩვენი თუ არა, ჩვენი შვილების დასჯა მაინცაო. მაგრამ ეს მათ აზრშიც არ მოსვლიათ; მთავრობასაც ხომ ყური არ უთხოვებია ამ გარემოებისთვის. ეხლა უწინდელი ნაქერალა მთის გვერდებზე მშვენიერ ტყეების მნახველს მეტად შეაწუხებს იმისი დანახვა ტყეები ჩვენში ამ ჟამად ცოტა არის და ისიც დაუზოგველად, ხალხის მოთხოვნილების და ნამდვილ საჭიროების გამოუყენებლად იჩეხება, ან და ცეცხლი ეკიდება.

მგონი დროა, რაც დარჩა ტყე, იმას მაინც მოემომჰინოას ჩვენი ხალხი, თუ არ უნდა „დროების“ არ იყოს, პირში ჩალა გამოვლებული დარჩეს. აგრეთვე არც მთავრობისთვის იქნება ურიგო ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ხალხის საქციელს ტყეების შესახებ საზოგადოდ.

ეყოფათ და სჯობს იკმარონ კერძო პირებმაც რაც ისარგებლეს საწყალი ხალხის უმეცრებით და უფრო მოთმინებით. სჯობია, რომ ერთის, ან ორის უქონლობა ენაცვალოს უმრავლესობის უქონლობას. რა სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ერთი კაცის გულ-გაუმაძღრობისგამო მთელი სამი ან მეტი, სოფელი წვალობდეს და თან-და-თან ვარდებოდეს უკიდურესს მდგომარეობაში. მაგალითად, ამბობენ, რომ სოფ. სადმელის მცხოვრებლიები ძალიან შევიწროებული არიან ერთი გვარის კაცებისგანო. ამ გვარის ორ თუ სამ საპატიო პირთ მიუთვისებიათ სადმელის მთა, რომლითაც ეს სოფელი სარგებლობდა და ედგა სული. ეს მთა შეადგენდა რამდენიმე სოფლისთვის საბალახოსა, სათიბსაც და საშეშო ტყეს. ერთი სიტყვით მითი სცხოვრებდნენ ამ მთასთან ახლო-მახლო მცხოვრებლები.

ეხლა კი ეს ორი კაცი ფეხს არ ადგმევინებენ ამ მთაში საწყალ ხალხს. თუ ვინიცობაა, როგორმე შეუვიდა სოფლელებს ამ მთაში საქონელი, ვაი მისი ბედის წერას! ერთი თვალის დახამხამებაში დაჭერილი და შეწერილი [illegible] გაქაჩული საქონელი [illegible] იმ საპატიო პირების სახლში და თუ საქონლის პატრონმა სამი-ხუთი მანეთი არ მიუტანა იმათ, ზედაც ვერ შეჰხედავს თავის საქონელს: ამ გვარად დაჭერილი საქონლისგან დაივსეს ჯიბეები ამ შეუბრალებელ ბატონებმაო.

სწორედ დიდი მომთმენია რაჭის ხალხი! თვით იობსაც არ გასჭირებია თავის მოთმენით იმდენი, რამდენიც ჩვენ ხალხს. ვინაა, ბატონო, მათ სურგზე არხეინად არ დასეირნობდეს! წვრილი ჩინოვნიკი, პრისტავი, მამასახლისი თავის მოსამართლებითურთ, სხვა-და-სხვა მეტი ჩარა პირები და თუ გინდათ თვითონ ის მამებიც, რომელნიც ამ გოლვის დროს ასე დიდ შრომაში იყვნენ წვიმის მოსაყვან ლოცვებით, შეუბრალებლად ეპყრობიან მათ და მარჯვედ სარგებლობენ მათი უმეცრებით და უენობით.

ბევრს შემაძრუწუნებელ და საზიზღარ საქმეებს ჰხედავს კაცი ამ ჩვენ მივიწყებულ, მიყარდნილ რაჭაში:—კაცის-კვლა ჩიტის კვლასავით გაიაფდა, წელიწადი არ გაივლის, რომ რამოდენიმე კაცი რკინეულის მსხვერპლი არ გაჰხდეს; ცემა-ტყეპა, ერთ მანეთის მიწასთან გასწორება სულ უფრო-და-უფრო იდგამს ფეხებს რაჭის ნიადაგზე. ხალხი ბ. ჩიჯავაძის დროს ასე თავ-აშვებული არ იყოვო, ამბობენ. ამ ახლანდელ უფროსს ბოროტი სულები სულ არ ერიდებიანო და რაც უნდათ იმას შვრებიანო; იციანო მათ, რომ რამე ცუდი საქმის ჩადენის გულისთვის დანაშაულობის შესაფერი სასჯელი არ ერგებათ, და ზედ უფროსის თვალის წინ ერთმანეთს თავყბას ამტრევენ და ამახინჯებენო, აზნაურობის გამო ჩვენ ნაჩალნიკს შვინდი უმწიფსო, ამბობს ხოლმე გლეხი. იმნაირივე შვინდი, მგონივ, აქაურ

---

...მინის სიდიდისა და მერმე სენაკები ...-იქით, ზოგან წვრილი, ზოგან ...დი, საზოგადოდ თვითო საჟენის ...მაღლე; გარნა მეტად ნოტიო იყო ...ღელ-ყურე, შემეფიქრა და გარ გამოვედით. ასე მიდიოდა სულ თავ...ლამა მოწყვეტ-მოწყვეტილი სენაკები. ასრე მიამბო ამ კაცმან: „გავლილ წელს მელა შევმოძვრა აქ და მეძებარიც თან შემოჰყვა, რა დაიგვიანა მეძებარმან, ავანთე მკვარი და შევჰყევ მათ კვალსა. 40 საჟენამდის ...არე, მერმე მივადევ მოდიდო სენაკს დარბაზსავით, შევიხედე დარბაზშიც ...ები მოლორლილი იყო და ისეთი ...-ბუქი ამოდიოდა, რომ კვარი ...შივე გამიქრა და მე უკან დავბრუნდი შეშინებულიო“. აქედგან ...ადად სჩანს რომ ჰაერგვარი დახუთულია, მელა-ძაღლიც იმით დახოცილან და კვარიც მისგან გაჰქრობია.

მაშა სადამე ნოე ან აქ და ან ზადენს უნდა იყოს დამარხული, რომ წარმართნი მის კერპს ჰმსახურებდნენ. ეს კერპი წმ. ანდრია მოციქულმა შემუსრა ლოცვითა. ამ გვარი ადგილების დათხრა და გამოძებნა რომ შეგვეძლოს, რამდენს ისტორიულ წყაროებს აღმოვაჩენდით?..

17-ს გავემგზავრე ფოცხევს. მინდოდა უქელს ასვლა, სადაც ეწამნენ 133 მესხთ აზნაურთ მეციხოვნენი წმ. მიხაელ გობრონის თვალწინ, საჭირო ცნობაების შესაკრებლად. ფოცხევის ხეობა ემხრობა ახალციხეს დასავლის სამხრით. დასავლეთს შესანიშნი სოფლები არიან ბადელა; ფეტუბანი, ფაფალო, ღვიმე და სხვ. აქ ერთ მახლობ მთაში, ამბობენ, მოლურჯო მარმარილოს ქვის მადანიაო. ამ მარმარილოს ამბავი შეუტყვია ხონთქარს და უნებებია კონსტანტინეპოლს მიდი ნუროსმანიის აშენება, მოუწერია ახალციხის ჰაჯი-ფაშისთვის, მგონი 1740 წ. აღმოსავლეთით ამ ხეობას არტაანის მთებით ჩამოსდევენ სოფლები: ჩუმათელა, ვახლა, წურწყაბი, ფარნავები და სხვ. აქედით უქელს, ციხე მისავალს არის მაღალს კლდიან გორაზედ. დიდი ნაწილი დაუქცევიათ ამ უკანასკნელს ჩვენს დროს, ზოგან კედლები ისევ ამართული დგას, ნაეკკლესიარიც ეტყობა შუა ტრაპეზის ქვა ძევს, წარწერა კი არაფერია. ამ ციხის გაღმა იქავ აგარა სოფელია, ამ სოფელს გორა უძს—ზედ ციხე ყოფილა. ამას უძახიან შურის ციხეს. ამას იქით გორა არის კიდევ და იმაზედ ციხე ყოფილა, ამასაც უძახიან ზარდამკიდეს! უთუოდ ეს სახელები წარმოგვიდგენენ აბულკარმის დროს მძლავრ ომბრძოლათა.

იმ ღამეს წურწყაბის გამოღმა სოფ. ობოლს დავდეგით. ვკითხე ერთს მოხუცს მათის წინაპართ ვინაობა და მიამბო პაპა ჩემი ჰასანწყალიდგან მოსულია, ჩვენ ალაჰვერდოღლებს გვეძახიან, ის პაპა ჩვენი ფოცხოვ-ბეგის ეფენდის (მოძღვარი) ყოფილაო და სხვა არა მითხრა-რა.

მეორე დღეს წურწყაბს გავიარე და ვიკითხე მათი გამაჰმადიანების ამბავი და მითხრეს—ალაჰვერდოღლის გაუთათრებივართო და ის ობოლი ჩვენი სოფლის უკეთესი მიწა ფოცხოვ-ბეგს მისთვის მიუციაო.

გინმე მესხი.

ხიზაბავრა.

კორრესპონდენტებსაც უნდა უმწიფ-დეთ, რომ ვერ არიან ნამდვილი გამომხატველი ხალხის ამ დროის მდგომარეობისა. ხ...

## ტფილისის სამკურნალო.

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს** გარალევსიხი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასტუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი მარლვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასტუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—მარლვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასტუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლვების სისუს-ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასტუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასტუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასტუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

# განცხადებანი


**ტფილისის ქალაქის გამგეობა**

ამით აცხადებს, რომ 18 ამა აგვისტოსა, დილით 12 საათ. გამგეობის თანადასწრებით იქნება ვაჭრობა იჯარით გასაცემ ქალაქის ადგილებისა ხის ბუდკებით, გასასყიდათ ხელოვნებითი მადნეულის წყლებისა სხვა-და-სხვა ადგილებში! გალავინის პროსპექტზე, გიმნაზიის ქუჩასთან 1, ტეატრის სახლთან 1, ფოჩტის სტანციის პირ-და-პირ ერთი, ალექსანდროვის ბაღთან 1, ერივნის მაედანზე 3, და ავლაბრის მოედანზე 1, სულ ცხრა ადგილი ბუდკებით. დაწვრილებითი პირობების შეტყობა შეიძლება გამგეობის კანცელარიაში ყოველ დღე დილიდანვე პირველს საათამდინ. (3—1)

# მაღაზია
## სალიანის თევზეულისა

უცხადებს საზოგადოებას, რომ მან ახლად მიიღო სალიანში მარტში დაჭერილი თევზეული საგანგებოდ მომზადებული და ისყიდება წვრილადაც და პარტიითაც. აქავე ისყიდება ყოველ დღე მოხარშული თევზეული. მაღაზია იმყოფება თამამშოვის ქარვასლის ქვეშ. (12—8)

მოსეს ვართანიანცის
# სტამბაში

მიღებულია ახალი რუსული, სომხური და ბევრი სხვა ენების შრიფტი. სხვათა შორის მიღებულია

**ქართული შრიფტიც.**

მიიღება ყოველ გვარი შეკვეთა—ბეჭდვა წიგნებისა ჟურნალ-გაზეთებისა და სხვ. (5—1)

დაიბეჭდა და ისყიდება

# ყურადღება

[illegible]

ЕЖЕНЕДѢЛЬНЫЙ ЖУРНАЛЪ
## ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ
Издаваемый въ г. Тифлисѣ
(годъ второй)

Открыта полугодовая подписка на журналъ съ 1 Іюля 1882 г. по 1 января 1883 года

**Цѣна за полгода 6 руб.**

Кромѣ того можно подписаться на 3 м-ца 3 р. 20 к. на 1 м-цъ 1 р. 20 к. Подписка принимается съ 1 числа каждаго мѣсяца и не далѣе конца года.

Полугодовые подписчики могутъ вносить при подпискѣ 3 р. и черезъ мѣсяцъ еще 3 руб.

Подписка принимается въ г. Тифлисѣ въ Администраціи журнала, Сололанская улица д. № 10 и въ Москвѣ и въ С.-Петербургѣ въ книжныхъ магазинахъ И. И. Анисимова. (6—5)

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. **იქვე იყიდება:** პაროსინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პაპიროსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—98)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

# სახსოვარი

ბატონიშვილის ალექსანდრესმის ირაკლის გარდაცვალებაზე

შეკრებილი და გამოცემული
ზ. ჭიჭინაძისაგან
ფასი ხუთი შაური.

ქართველ ქალებისაგან ნათარგმნი
# მოთხრობანი
წიგნი მეორე.

**ისყიდება ტფილისში:** შავერდოვთან, ჩარკვიანთან და ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ).

**ქუთაისში:** ჭილაძის და ნიკოლაძის მაღაზიაში.

**გორში:** მ. კერესელიძესთან.

დაიბეჭდა და გამოვიდა ახალი სომხური წიგნი

**მწყემსის სტვირი**

**ლექსები, სიმღერები და ზღაპრები**

ცნობის-მოყვარე ყმაწვილებისთვის სკოლაში და შინ საკითხავად

ალაიანცისა

გამოცემა გ. მ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოსი.

ფასი ერთი აბაზი (10—3)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**მამულის**

**საერთო მფლობელობაზე**

თხზულება
ანტონ ფურცელაძისა
გამოცემული
ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში

**იგავ-არაკნი**

კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუისაგან გადმოქცეული თ. რ. ერისთვისა.

**ისყიდება**

ტფილისის წიგნის მაღაზიებში ახლად გამოსული რუსულს ენაზე წიგნი.

**Грузинскія крестьянскія грамоты, крѣпостные и судебные акты, грамоты и письма грузинскихъ и персидскихъ царственныхъ особъ. (Матеріалы для исторіи древной грузіи).**

сост. Д. П. Пурцеладзе.

ქუთაისში ისყიდება ჭილაძეების მაღაზიაში.

ფასი ერთი მანეთი


**ტაქსია**

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და დახლებზედ 1 აგვისტოდან 15 აგვისტომდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 3½ |
| მესამის „ | —1გირ. | — |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5½ |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |

ჯვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 6 კ. |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 5 კ. |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4½ |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 9 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 7 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 10 კ. |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | — კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | — კ. |


გამოვიდა ცალკე წიგნათ
დრამა
# სამშობლო!
ისყიდება შავერდოვის სააგენტოში.
ფასი 60 კაპ. (20—14)

მაქვს პატივი გამოვუცხადო საზოგადოებას, რომ

# მოვიყვანე ბაქოდგან ნავთი

რომელსაც გავყიდი არა ნაკლებ ერთის ბოჩკისა. კანტორა იმყოფება მიხაილოვის ქუჩაზე № 42, ჩემს საკუთარს სახლში, აგრეთვე მყიდველთ შეუძლიანთ მიმართონ დვორცოვის ქუჩაზედ შტაბის პირდაპირ მერაბოვის მაღაზიაში. ფასი იქნება ქვე-ლასთვის ერთ ნაირი. გასყიდვა იწყობა დილის 8 საათზედ პირველ საათამდე. პირველს სეკტემბრიდამ მექნება სკლადები: ალდაშას, ელისავეტოპოლში, აქსტაფაში, მიხაილოვკას, ქუთაისს და ფოთს.

(10—2) გიორგი დავითის-ძე ქართველოვი.


*Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 Августа 1882 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მესხიშვილი. რედაქტორი ს. მესხი